საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4171/01
21/04/2022

4171-01-2-202204211657

შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალს“
მის: თბილისი, ლესელიძის ქუჩა №15
ელ.ფოსტა: tamta.kapanadze.2@iliauni.edu.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №7355 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. არახვეთში არსებული საცხოვრებელი ბანაკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციას.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის თანახმად, გამწმენდი ნაგებობა განთავსებულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ, 470 $м^2$ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 71.62.54.901). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეული წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საცხოვრებელი ბანაკის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები შეგროვდება შემკრებ რეზერვუარში და შემდგომ, ტუმბოს მეშვეობით, მიეწოდება ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობას. დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის აღნიშნული რეზერვუარისა და ტუმბოს შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს შემკრები რეზერვუარიდან გამწმენდ დანადგარამდე და ასევე, გამწმენდი დანადგარიდან წყალჩაშვების წერტილამდე გათვალისწინებული მილის ტექნიკური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე